26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №10(168) 2018 წ. 16-31 მაისი ფასი 50 თეთრი

21 წლის შემდეგ კვლავ ახმაურდა ჩიჩხიტური

ეს იყო ქართული ფრაღიციების, ქართული მინის სიყვარულის კიდევ ერთი ლამაზი დღე

ვინ იცის, რამდენი საუკუნეა სულგანაბული უსმენს ხორშაკ ქარებს მზისა და ქარებისგან გამოშანდაკებული, მდუმარებაში ჩაძირული, მრავალჭირნახული უდაბნოს მიწა. მაისობას აქ ბალახებში ყვავის ყაყაჩო – წინაპართა სისხლდანთხეული, სამშობლოსა და ქრისტესთვის ტარიგად შეწირულ ქართველთა გასახსენებლად, სადღაც მელაკუდა ფეხაკრეფით გაირბენს, ცის ლაჟვარდს მეტანიას გაუკეთებს კაკაბი და თითქოს მყუდროების დარღვევას ერიდებაო, ჩუმად ჩაიმალება მოყელყელავე ბალახებში...

ამ მთის ფერდობებს ახსოვთ რაღაცნაირი სიხარულით აფოფინებული გარეჯელები, სტუმრები საქართველოს ყველა კუთხიდან და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, მეცნიერები, სახელოვანი სპორტსმენები, სიმღერებად და ცეკვებად შემოჭრილი გოგო-ბიჭები. დიახ, ახსოვს სახალხო ზეიმი „გარეჯობა“, რომელიც ამ მიწისათვის ავადმომზირალს ახსენებდა, რომ ეს ქართული მიწაა, მიწა – ქართული, – ქართველთა სისხლითა და ძვლებით გაპოხიერებული, მადლიანი და ღალიანი, ქართველთ კი პატრონობას და დაცვას ავალებდა... მას შემდეგ 21 წელია ასე მდუმარებით ელიან გარეჯელებს გამოქარული ტინები, მაღლიდან ამაყად მომზირალი, ქართველობის შემახსენებელი ჩიჩხიტურის კოშკი, უკეთურთაგან გვერდებშელეწილი, ფრესკებჩამოფხეკილი და უცხო ტომის დროშის გულზე იარად მატარებელი...

და, აი, 21 წლის შემდეგ კვლავ ახმიანდა, აჟრიამულდა აქაურობა. ერთმანეთს უღიმოდა, „გარეჯობას“ ულოცავდა ერთბაშად მოზღვავებული ხალხი – რაღაცნაირად სიხარულით აფოფინებული, გაცისკროვნებული. დიახ, 19 მაისს აქ გარეჯობაზე ყველა იყო, ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ჩვენი 10 თემის, თითქმის 43-ვე სოფლის წარმომადგენლები, რომლებიც დიდ ***მადლიერებას გამოთქვამდნენ ამ ღონისძიების სულისჩამდგმელისა და ამღორძინებლის, საგარე-***

დასასრული მე-6 გვერდზე

ინფრასტრუქტურა-2018

გაიხსნა რეაბილიტირებული სტადიონი

2018 წლის 23 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **გიორგი ერბოწონაშვილმა**, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა – გუბერნატორმა **ირაკლი ძაღაგიშვილმა**, საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან კობიაშვილმა,** პარლამენტში საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა **რომან მუჩიაშვილმა,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ოთარ ჩალათაშვილმა** ახლად რეაბილიტირებული სტადიონი საზეიმო ვითარებაში გახსნეს.

მათ სიტყვაში გამოსვლისას აღნიშნეს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის, სპორტის განვითარებისა და მოსახლეობის ფართო ფენებისთვის სპორტის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა საქართველოს ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ერთ–ერთ უმთავრეს პრიორიტეტსა და ამოცანას წარმოადგენს. ითქვა ისიც, რომ ამ მიმართულებით კვლავაც ბევრი მნიშვნელოვანი პროექტია დაგეგმილი არა მხოლოდ ფეხბურთის, არამედ სპორტის სხვა სახეობათა განვითარებისთვისაც. სიტყვაში გამომსვლელებმა ეს ისტორიული თარიღი მიულოცეს როგორც იქ დამსწრე პროფესიონალ ფეხბურთელებსა და ვეტერან სპორტსმენებს, ისე სტადიონზე მყოფ, ფეხბურთის მაისურებში გამოწყობილ ბავშვებსა და მთელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

საგარეჯოს საფეხბურთო კლუბ „გარეჯის“ ხელმძღვანელმა ლაზარე დათუნაშვილმა მუნიციპალიტეტის მერს გიორგი ერბოწონაშვილს სტადიონის რეაბილიტაციისას გამოვლენილი ყურადღებისა და თანადგომისთვის სამახსოვრო საჩუქარი გადასცა: კლუბის მაისური – 41–ე ნომრით და ლევან კობიაშვილის ავტოგრაფით.

აღსანიშნავია, რომ სტადიონის სათამაშო მოედნის რეაბილიტაცია გასული წლის ოქტომბრის მიწურულს დაიწყო. ამ პროექტის განხორციელებაზე საერთო ჯამში 636 557 ლარი დაიხარჯა. აქედან, თანხის უმეტესი ნაწილი რეგიონული განვითარების ფონდმა დააფინანსა, გარკვეული ნაწილი კი – მუნიციპალურმა ბიუჯეტმა. შეიძლება ითქვას, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ამ მასშტაბის პროექტი მრავალი წელია არ განხორციელებულა.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია მეორე პროექტის განხორციელებაც, რომელიც მიზნად ისახავს ტრიბუნების რეაბილიტაციას, საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემის, აგრეთვე გასახდელებისა და საშხაპეების მოწყობას.

ტრადიციისამებრ, საზეიმო ღონისძიება დაამშვენა კონცერტმა; სოფელ პატარა ჩაილურის ქორეოგრაფიული ანსამბლმა „ლაშქრულმა“, ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „პატარა გარეჯელებმა“ და კულტურის სახლთან არსებულმა ხელოვნების სკოლა-სტუდია „მირელამ“ ულამაზესი ქორეოგრაფიული ნომრები და სიმღერები შეასრულეს.

საზეიმო ღონისძიება დაასრულა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგიონული ლიგის კალენდარულმა მატჩმა, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ საგარეჯოს „გარეჯი“ და აჩაბეთის „ლიახვი“. შეხვედრა დასრულდა მეგობრული ანგარიშით 3:3.

დამსწრე საზოგადოება კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ სტადიონზე, სადაც 8 თვის წინ ნორმალურად ვარჯიშიც კი შეუძლებელი იყო, დღეს ეროვნული ჩემპიონატის მატჩი უპრობლემოდ ტარდება.

26 მაისი ჩვენს მუნიციპალიტეტში

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ჩვენი თანამოქალაქეები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, კულტურის ობიექტების გაერთიანებისა და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები დილიდანვე შეიკრიბნენ.

კულტურის სახლის ფოიეში ქ. საგარეჯოს თავშესაფრის ბენეფიციართა და სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა, რომელსაც ბევრი დამთავალიერებელი ჰყავდა.

ღონისძიებაში მონაწილეებმა მოაწყვეს საზეიმო მსვლელობა, მათ წუთიერი დუმილით პატივს მიაგეს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა ხსოვნას და ყვავილებით შეამკეს ქ. საგარეჯოში არსებული მემორიალი ჩატარდა აქტივობები სპორტის შემდეგ სახეობებში: ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი, ჭადრაკი.

მოეწყო საბავშვო ბაღის აღსაზრდელების ველორბოლა.

ღონისძიების დასკვნით ნაწილში გაიმართა საზეიმო კონცერტი, სადაც ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივები იღებდნენ მონაწილეობას.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

25 მაისი, 2018 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე*** **ოთარ ჩალათაშვილი** უძღვებოდა. კენჭისყრის შემდეგ დღის წესრიგის ***პირველ საკითხზე*** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **თინათინ ძაბილაშვილმა.**

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" მოხსენება გააკეთა მერიის იურიდიულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **კახაბერ მარგებაძემ.**

საკრებულოს წევრებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა **მარინა თედიაშვილმა.**

საკითხები: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,ქ. საგარეჯოში, დავით აღმაშენებლის ქ. №15-ში მდებარე შენობის მეორე სართულის 34მ2 ფართის (საკ.კოდი 55.12.59.014) პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 4 წლის ვადით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურისთვის გადაცემის შესახებ და „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 180მ2 ფართის (საკ.კოდი 55.18.59.045) პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 3(სამი) წლის ვადით, აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანებისთვის" გადაცემის შესახებ წარმოადგინა მერიის ეკონომიკური განვითარებისა და და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ქურდოვანიძემ.**

საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №55 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსებისა და კომისიის თავმჯდომარემ **გივი ბედიაშვილმა.**

საკრებულომ თითოეულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

22 მაისი, 2018 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერი*** **გიორგი ერბოწონაშვილი** უძღვებოდა. მან მერის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა სახალხო ზეიმში "გარეჯობა" მიღებული აქტიური მონაწილეობისათვის და აქვე აღნიშნა, რომ ასე ერთსულოვნად, ერთად დგომით, მაღალი ენთუზმიაზმითა და მიზანდასახულობით უნდა შეძლონ იმ დაპირებების შესრულება, რაც ოქტომბრის არჩევნებზე მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეპირდნენ. საამისოდ კი აუცილებელია იმ პრობლემების წინა ხაზზე წამოწევა, რაც სასწრაფო მიხედვას და მოგვარებას საჭიროებს.

თათბირზე მან სოფლების მიხედვით მერის თითოეული წარმომადგენლიდან მოისმინა იქ არსებული პრობლემები, თათბირზე დამსწრე მერიის სამსახურებისა და განყოფილების უფროსებს კონკრეტული დავალებების ჩანიშვნა და სწრაფი რეაგირება სთხოვა და აღნიშნა: - იმ პრობლემის მოგვარება, რომლის მოგვარება დროში გაწელვას და მთელი რიგი პროცედურების გავლას არ საჭიროებს, უნდა მოგვარდეს დღეს და ხვალ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამშაბათის მომავალ თათბირზე დადგება კონკრეტული პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხი. ზაფხულის პერიოდში იზრდება მოთხოვნა სასმელ წყალზე, ამდენად, ყველანაირი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქით, რომ მუნიციპალიტეტის არც ერთი მოქალაქე არ უნდა დარჩეს სასმელი წყლის გარეშე, უნდა ავამაღლოთ პასუხისმგებლობა, რომ მოსახლეობამ სასმელი წყალი არ გამოიყენოს სარწყავად, რასაც ისინი წლების წინ აკეთებდნენ. უნდა შევძლოთ და სოფლებსა და ქალაქშიც მოვაწესრიგოთ გზები. მალე ჩვენ გვექნება ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტი კახეთში- სახელმწიფო სტრუქტურამ – შპს "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ" კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად გადმოგვცა 252 ერთეული ნაგვის ყუთი (ურნა), რაც შესაძლებლობას გვაძლევს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში შევიტანოთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

თათბირზე მერის წარმომადგენლებმა გააკეთეს ზეპირი ინფორმაცია სოფლებში არსებული პრობლემების შესახებ.

თათბირზე გიორგი ერბოწონაშვილმა მერის გამგებლებს სთხოვა, წერილობით წარმოედგინათ იმ პრობლემების ჩამონათვალი, რომლებსაც უპირველესად უნდა მიექცეს ყურადღება. რაც შეეხება საკითხს სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების მოწესრიგებას, მან სოფლებში მომუშავე სასმელი წყლის მარეგულირებლებთან თათბირის დღე ჩანიშნა.

აქვე შედგა გრაფიკი შპს "საგარეჯოს" მძიმე ტექნიკით შესასრულებელი მთელი რიგი სამუშაობისა, რომლის მეშვეობითაც უჯარმის, ხაშმის, და მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების მოსახლეობას გააუმჯობესდება სასმელი წყლით მომარაგების საკითხი.

თათბირზე განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები და დაისახა ერთი კვირის საკეთებელი გეგმა, რომლის შესრულებას მომავალ თათბირზე თავად მერიის ხელმძღვანელი შეაფასებს.

სუფთა მუნიციპალიტეტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 252 ახალი ნაგვის ურნა განთავსდება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების ხელშეწყობით, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს მუნიციპალიტეტში დასუფთავების პრობლემის მოსაგვარებლად.

ამ დღეებში, კახეთის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტსაც გაეწია მნიშვნელოვანი დახმარება: სახელმწიფო სტრუქტურამ - შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას გერმანული წარმოების და მაღალი ხარისხის, 252 ერთეული ახალი ნაგვის ურნა გადასცა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ ალექსი გილაშვილმა და მერიის სტრუქტურული ერთეულის „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-ის დირექტორმა თედო (თემურ) ილაურმა ნაგვის ურნები დაათვალიერეს და მათი გადანაწილების კრიტერიუმებზე, ვადებსა და განთავსების ადგილებზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ ურნების გადანაწილება უახლოეს პერიოდში დაიწყება და დაახლოებით 2 კვირაში დასრულდება. ურნები არა მხოლოდ ქალაქ საგარეჯოში, არამედ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პრაქტიკულად ყველა სოფელში განთავსდება.

„მინდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მის სტრუქტურულ ერთეულს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ - ესოდენ მნიშვნელოვანი დახმარების გაწევისთვის. ჩვენ საშუალება მოგვეცა, ახალი, თანამედროვე ტიპის ნაგვის ურნები ისეთ უბნებშიც განვათავსოთ, სადაც დღემდე არასდროს მდგარა და შესაბამისად, მთელ მუნიციპალიტეტში ეფექტურად გადავჭრათ მყარი ნარჩენების მართვის პრობლემა, -“ განაცხადა გიორგი ერბოწონაშვილმა.

საგარეჯოს მერია და ენერგომბუდსმენი მოსახლეობის საკეთილდღეოდ ეფექტურ თანამშრომლობას იწყებენ

სასმელი წყლით, ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით შეუფერხებელი მომარაგება, ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის. თუმცა, წლების მანძილზე და ბოლო პერიოდშიც ამ სფეროშიც არსებობს გარკვეული სოციალური პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით. მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ აქვს შესაბამისი ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ და ბევრმა არც ის იცის, ვის შეიძლება მიმართოს პრობლემათა მოსაგვარებლად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისთვის მოსახლეობის კეთილდღეობა, მათ წინაშე არსებული სოციალური პრობლემების დროულად და ეფექტურად გადაჭრა უმთავრესი პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზნით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი გამოვიდა ინიციატივით, საგარეჯოს ადგილობრივ თვითმმართველობასა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან დამოუკიდებლად არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველს (ენერგოომბუდსმენი) შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბების შესახებ.

კახეთის რეგიონში ამ სტრუქტურას ენერგომბუდსმენის თანაშემწე, სოფიო აივაზაშვილი წარმოადგენს, რომელმაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო შეხვედრა გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსი გილაშვილი, მეორე მოადგილე პაატა ასრათაშვილი, სამსახურების ხელმძღვანელები და მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლები.

შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს მოსახლეობის ბუნებრივი აირით, სასმელი წყლითა და ელექტრომომარაგებაში არსებული პრობლემები. სოფიო აივაზაშვილმა დამსწრეთ მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია ამ სფეროში არსებული სიახლეების, აგრეთვე, პრობლემათა ეფექტურად გადაჭრის ხერხებისა და მეთოდების შესახებ. მისი თქმით, დღეისთვის, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევითა და ახალი საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე, საკმაოდ გამარტივდა პრობლემათა გადაჭრის გზები და საშუალებები. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა, როგორც ტელეფონით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უშუალოდ დაუკავშირდეს ენერგომბუდსმენის თანამშემწეს, რომელიც გაუწევს ყველანაირ დახმარებას, პრობლემათა არსიდან გამომდინარე. საქმე ეხება ელექტროენერგიის ძველ დავალიანებებს, ბუნებრივი აირის სახლშიც შეყვანას, წყლის შეფერხებით მიღებას და სხვა საკითხებს. იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობასთან მჭიდრო შეხება მერიის თანამშრომლებს აქვთ (განსაკუთრებით - მერის წარმომადგენლებს), სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობა შეასრულებს ეფექტური მედიატორის როლს.

სოფიო აივაზაშვილმა დეტალურად გასცა პასუხი შეხვედრაზე დასმულ შეკითხვებს. დასასრულს კი, მან მადლობა გადაუხადა მერიის ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს, რადგან ისინი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოქალაქეთა სოციალურ საჭიროებებს და ენერგომბუდსმენის ინსტიტუტთან თანამშრომლობას.

სანდრო უსტიაშვილი

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

„სამშობლო უფრო მეტად გაჭირვება და ტკივილია, ვიდრე დალხინება და დღესასწაული“

ნოდარ დუმბაძე

26 მაისს საქართველოში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. ზუსტად 100 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ორმა დიდმა მოვლენამ - მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩასახულმა ეროვნულმა მოძრაობამ და პირველმა მსოფლიო ომმა - განაპირობა. ისტორიკოს ვახტანგ გურულის თქმით, რომ არა ამ ფაქტორების თანხვედრა, ვერც საქართველო და ვერც რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი სხვა ერები დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდნენ:

„პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის სახელმწიფო მიიყვანა კრიზისამდე, რომელიც დამთავრდა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციითა და რომანოვების დინასტიის აღსასრულით“,- განაცხადა ვახტანგ გურულმა. - „შესაბამისად, ამ იმპერიაში მცხოვრებმა დაპყრობილმა ერებმა მიიღეს იმისი წინაპირობა, აღედგინათ დამოუკიდებლობა. ქართველი ერი აღმოჩნდა ერთ-ერთი იმ რამდენიმე ერს შორის, რომელმაც შეძლო დაეგვირგვინებინა ეს 1921 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით.“

ვახტანგ გურული არ იზიარებს აზრს, რომ 1918 წელს დამოუკიდებლობის აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობის წყალობით მოხდა, თუმცა ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი ამტკიცებს, რომ მაშინდელი პოლიტიკური ელიტა ფსიქოლოგიურად არ იყო მზად დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის. ისტორიკოსი ბონდო კუპატაძე იხსენებს იმ ფაქტს, თუ რა ძალისხმევა დასჭირდა საქართველოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს, აკაკი ჩხენკელს, რათა ეროვნული საბჭო დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე დაეყოლიებინა:

„დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდა ბერლინიდან და მოითხოვდა ნოე ჟორდანიასა და სხვა პარტიული კოლეგებისაგან გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა. ირაკლი წერეთელმა, რომელიც ყველაზე მემარცხენე იყო ქართველ სოციალ-დემოკრატებში, როცა დეპეშა წაიკითხეს და საბოლოოდ გადაწყვიტეს დამოუკიდებლობის გამოცხადება, თავში ხელი წაიშინა და დაიწყო ყვირილი, რას შვრებით, თქვენ ღუპავთ რუსულ დემოკრატიასო, როგორ შეიძლება, ჩვენ ვდალატობთ ჩვენს მოძმე რუსულ დემოკრატიას და მათ ვტოვებთ ბოლშევიკების სათარეშოდ, ეს როგორ შეიძლებაო.“

საბოლოო ჯამში, როგორც უკვე ვთქვით, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დამოუკიდებლობა მაინც გამოაცხადეს. თავდაპირველად, დასავლეთის ქვეყნები თავს იკავებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისგან, თუმცა ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1920 წლის 7 მაისის, ანუ რუსეთის მიერ საქართველოს აღიარების, შემდეგ. 1921 წლის თებერვლამდე საქართველოს დამოუკიდებლობა ევროპის თითქმის ყველა წამყვანმა ქვეყანამ ცნო, თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება. ვახტანგ გურულის თქმით, საქართველოს დამოუკიდებლობა დიდ პოლიტიკურ თამაშს ემსხვერპლა:

„ქართველებმა რომ დამოუკიდებლობა ვერ შევინარჩუნეთ, ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ, ვთქვათ, ლატვიელებზე, ლიტველებზე და ესტონელებზე ნაკლებად მომზადებული ვიყავით ამისათვის. დიდმა პოლიტიკამ ინება მაშინ ისე, რომ დასავლეთმა ევროპამ (ანტანტის ქვეყნებმა) არ დაუშვა რუსეთის აგრესია ბალტიისპირეთში და დაიცვა ეს ტერიტორია, ხოლო, რუსეთისა და დასავლეთის სამყაროს გარიგებით, სამხრეთი კავკასია აღმოჩნდა ის რეგიონი, რომელიც ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა დაუთმეს საბჭოთა რუსეთს.“

საბჭოთა რუსეთმა თბილისი 1921 წლის 25 თებერვალს დაიკავა. ისტორიკოს ბონდო კუპატაძის თქმით, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, უნიათობას ამჟღავნებდა, ჯერ თბილისი, მოგვიანებით კი საქართველოს ტერიტორია დატოვა:

„ერთი დადებითი მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არანაირი იურიდიული საბუთი არ დაუტოვებია იმისა, რომ მან ძალაუფლება გადასცა რომელიმე სხვა ძალას. ანუ საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრა დაფიქსირდა როგორც ოკუპაცია და, საერთაშორისო სამართლით, ეს იყო ოკუპაცია“, - განაცხადა ბონდო კუპატაძემ.

ოკუპაციის ფაქტის დაფიქსირებამ მნიშვნელოვნად გააადვილა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ და სხვა არაერთი ფაქტორის გათვალისწინებით, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ნოდარ ნათაძე, ამბობს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველი ერი გაცილებით რთული ამოცანის წინაშე იდგა:

„მონარქიული იმპერიის დამსხვრევა და იქიდან საქართველოს გამოხსნა ბევრად უფრო ძნელი ამოცანა იყო, ვიდრე საბჭოთა იმპერიის დანგრევა, იმიტომ რომ მონარქიას იმდროინდელი ნორმებით, ლეგიტიმურობა მოსდევდა. ეს იყო დინასტია, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა გარკვეული ტერიტორიები და ითვლებოდა, რომ დაპყრობის შედეგი არის კანონიერი ფლობა. ახლა ეგრე აღარ ითვლება“, - განაცხადა ნოდარ ნათაძემ.

და მართლაც, გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ შეძლო დაშლის პირას მისული საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევა. 70-წლიანი ტყვეობის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალებმა, 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინეს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ აღადგინა დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო სიმბოლიკა, თუმცა 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ საქართველომ უარი თქვა პირველი რესპუბლიკის დროშაზე, ღერბსა და ჰიმნზე. ეს უკანასკნელი ახალი თაობის პოლიტიკოსებმა ტექსტისა და მელოდიის სირთულის გამო დაიწუნეს.

ინფრასტრუქტურა — 2018

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად

სამუშაოები გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება

შპს "საგარეჯოს" წელს მაისში დაარსებიდან ორი წელი შეუსრულდა. მისი დაარსების დღიდანვე დაეტყო ჩვენს მუნიციპალიტეტის გზებსა თუ ქუჩებს, წყალსადენ ქსელებს, სანიაღვრე არხებს მზრუნველი ხელი. შეკეთდა, მოიხრეშა და მოშანდაკდა ათეულობით გზა, განსაკუთრებული მზრუნველობა დაეტყო მოსახლეობის სავარგულებამდე მისასვლელი გზების, სტიქიური ნაგავსაყრელების მოწესრიგებას, მისი თანამშრომლები იყვნენ და არიან იქ, სადაც სტიქიური წყალვარდნილობებია, სადაც მძიმე ტექნიკა და მიზანმიმართული გარჯაა საჭირო. მათ საკეთებელსა თუ გასაკეთებელს, ან უკვე გაკეთებულ საქმეებს ნაბიჯ- ნაბიჯ მიჰყვება ჩვენი გაზეთიც და არაერთხელ გაგვიშუქებია მათი საქმიანობა. აღნიშნულ შპს-ს სათავეში თავდაპირველად სანდრო უსტიაშვილი ედგა, მიმდინარე წლის თებერვლიდან კი, მას შემდეგ, რაც ის მუნიციპალიტეტის მრჩევლად დანიშნეს, ***შპს***-ეს სათავეში **თამაზ კუჭუაშვილი** ჩაუდგა, რომელსაც საკმაოდ გამოცდილი კადრი დახვდა ადგილზე და საქმიანობაც ჩვეულ რიტმში გაგრძელდა...

დღეს **თამაზ კუჭუაშვილი** შპს-ეს თანამშრომელთა საქმინობაზე გვესაუბრება.

— ბატონო თამაზ, სანამ უშუალოდ საქმიანობაზე ვისაუბრებდეთ, კარგი იქნება, თუ თქვენს თანამშრომლებს გაგვაცნობდით...

- სიამოვნებით, რადგან სწორედ ისინი შრომობენ მუხლჩაუხრელად და მათი სამუშაო საათები და სამუშაო ადგილი განსაზღვრული არ არის. ჩემი მოადგილეა ლევან ქვლივიძე, რომელიც ჩემთან ერთად ყოველთვის იმ სამუშაო უბანზეა, სადაც სამუშაოები მიმდინარეობს. მინდა სიამაყით გითხრათ, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ, გუნდი, რომელიც მოტივირებულია საქმის კეთილსინდისიერად და ხარისხიანად შესასრულებლად. ჩვენი შპს-ეს ტექნიკას მართავენ მძღოლი აკაკი ჯანდაგაშვილი, ტრაქტორისტები: ლევან ჯანდაგაშვილი, ნიკოლოზ როსტომაშვილი, დავით ქურხული და გიორგი გულაღაშვილი. ჩვენი თანამშრომლები არიან ასევე, დარაჯებიდიმიტრი და გიორგი ივანელაშვილები, გერონტი ხებრელაშვილი და ალექსანდრე თედიაშვილი, გვყავს ერთი ქალბატონი- მთავარი სპეციალისტი ბიუჯეტისა და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში- თინა ჭინჭარაძე.

- თქვენ ტექნიკა ახსენეთ, ამჟამად რა სახის ტექნიკას ფლობს შპს?

- გვყავს ავტომანქანა- თვითმცლელი- ერთი ერთეული, ტრაქტორი "კატერფელერი", მუხლუხა ტრაქტორი, ტრაქტორიბულდოზერი, ბორბლებიანი ექსკავატორი, ავტომანქანა თვითმცლელი "ფორდტრანზიტი", გრეიდერი C 9190 (ყველა ერთი ერთეული).



- რაც შეეხება სამუშაობს...

- ჩვენი საქმიანობა ნაგავსაყრელების დასუფთავებით დავიწყეთ, რადგან ზამთრის მიწურულს განსაკუთრებულად გაშიშვლდა უნებართვო ნაგავსაყრელების წარმოუდგენლად საშინელი მდგომარეობა.

დავასუფთავეთ:

- სოფელ უდაბნოში,
- სოფელ ლამბალოში,
- სოფელ დიდ ჩაილურში არსებული სასაფლაოსა და სოფლის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიები,
- ასევე, სოფლებში თოხლიაურსა და უჯარმაში არსებული სტიქიური ნაგავსაყრებელები.
- ქალაქ საგარეჯოში, ჯაფარიძის ქუჩიდან გავიტანეთ სამშენებლო ნარჩენები.

- გაიწმინდა სანიაღვრე არხები:

- საგარეჯოში, კოსტავას ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხი და ერეკლე მეორეს ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხი;

გაიჭრა სასმელი წყლის არხი:

- სოფელ თოხლიაურში
- სოფელ მანავში
- სოფელ გომბორში
- სოფელ კოჭბანში

- ჩატარდა სასმელი წყლის ქსელის სარემონტო სამუშაოები:

- სოფელ თოხლიაურში;

- გაკეთდა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების დამბა:

- სოფელ გიორგიწმინდაში;

- მოხდა სასმელი წყლის დაქსელვა და არხის გაჭრა:

- სოფელ გიორგიწმინდაში;

- გაიჭრა საკანალიზაციო არხი:

- ქალაქ საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე არსებული საკანალიზაციო არხი;

- მოხდა სანახშირეს ლიკვიდაცია:

- ქალაქ საგარეჯოში ე. წ. "კოსტაფეს" ტერიტორიაზე არსებული სანახშირე;

- მოსწორდა ადგილი:

- სოფელ უდაბნოში კოშკის ასაშენებლად;

- ხევის ჯებირების გამაგრება:

- 23 მარტიდან 20 მაისის ჩათვლით მიმდინარეობს საგარეჯოში არსებული ე. წ. "წიფლისხევის" ჯებირის გამაგრება გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობისგან მოსახლეობის დასაცავად;

- მოიხრეშა:

- ქალაქ საგარეჯოში სასაფლაოების გზები;

- მოიხრეშა და მოშანდაკდა:

- ქალაქ საგარეჯოში არსებული ქეთევან წამებულის ქუჩა
- სოფელ გიორგიწმინდის ცენტრალური გზა.

სამუშაოები გრძელდება

ვერხვიანი

მოწესრიგდა სასმელი წყლის მიწოდება

წლების მანძილზე, სოფელ ვერხვიანში სასმელი წყლის მილზე, რომლითაც წყალი მიეწოდება მთელი სოფლის მომარაგებისთვის განკუთვნილ აუზს, დამონტაჟებული იყო მოძველებული დამარეგულირებელი ურდული (ე.წ. „ვინტილი“). კერძო პირები მას კეტავდნენ, რის შედეგადაც წყალი მიედინებოდა ხსენებულ მილზე ცალკე მიერთებულ ონკანში. ამის გამო, სოფლის აუზი ცარიელი რჩებოდა და მოსახლეობის დიდ ნაწილს სასმელი წყალი აღარ ჰქონდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ერბოწონაშვილის დავალებით, ა.ა.ი.პ „საგარეჯოს სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრმა“ დაამონტაჟა ახალი ურდული, რომლის მეშვეობითაც მოხდება წყლის სწორად დარეგულირება, აუზი სისტემატურად გაივსება და მოსახლეობას შეუფერხებლად მიეწოდება სასმელი წყალი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახური

შიბლიანი - ცისფერი ალი

სოფელ შიბლიანში 170 - ზე მეტმა აბონენტმა ბუნებრივი აირი მიიღო. ბუნებრივი აირი სოფელში სოფელ ვერხვიანიდან გამტარი ხაზით ზემო ყანდაურის გავლით შემოვიდა, ხაზი 13 კილომეტრი სიგრძისაა. უახლოეს ხანში აქ აბონენტთა რიცხვი გაიზრდება.

ბადიაური — რეაბილიტირებული სკოლა

ბადიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეების ოცნება რეალობად იქცა – სასწავლო წლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე სწავლა განახლდა რეაბილიტირებულ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლის შენობაში.

აღნიშნული საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე იზრუნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

პატარების ლამაზ საუფლოში

***საბარეჯოს** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1 (მენეჯერი თამუნა ლაფერიშვილი) იმ საინტერესო ტრადიციებით აგრძელებს საქმიანობას, რაც ამ დაწესებულების ექვს ათეულ წლიანი არსებობის მანძილზე ჩამოყალიბდა და სხვა დაწესებულებებიდან გამოარჩევს – აქ ერთ მთლიან მუშტად შეკრული პედაგოგები, ტექნიკური პერსონალი, მშობლები ერთი მიზნით იწყებენ ყოველ სამუშაო დღეს - -საინტერესო, შინაარსიანი იყოს პატარებისთვის დაწესებულებაში გატარებული ყოველი წუთი...*

დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაზე მისი მენეჯერი გვესაუბრება:

-დაწესებულება დღეს 240 აღსაზრდელს ემსახურება. ჩვენი აღსაზრდელები 8 სააღმზრდელო ჯგუფში არიან გაერთიანებული. აქედან, სამი ჯგუფი – სასკოლო ასაკისაა, (აქ აღმზრდელ პედაგოგები არიან გიული ოთიაშვილი, ლია კოხტაშვილი, ია ყორღანაშვილი), 2 ჯგუფში – 4 წლიანი აღსაზრდელები (აღმზრდელები ლელა კოხტაშვილი და თინიკო მამისაშვილი), 2 – ში -3წლიანები (აღმზრდელები ნინო კახელიშვილი და მარინა ჭიაურელი), 1 ჯგუფი -2 წლიანების (აღმზრდელი ნანა გეთიაშვილი). თითოეულ ჯგუფს ჰყავს აღმზრდელის თანაშემწე, რომლებიც მართლაც მაღალი პასუხისმგებლობით უდგანან გვერდში აღმზრდელ – პედაგოგებს. ესენი არიან: მანანა კერატიშვილი, მაია დათუნაშვილი, ვენერა საგინაშვილი, ეთერი როჭიკაშვილი, მარინა გაგნიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი, მაია შათირიშვილი, დალი გრატიაშვილი.

დაწესებულებაში აღსაზრდელებს ლოგოპედები თამარ გოცირიძე და მარინა ელერდაშვილი, ფსიქოლოგები – ირმა ნარიმანიშვილი და ციცინო ქარსაულიძე, მეთოდისტი – თამუნა მაისურაძე, მუსიკის მასწავლებლები – მანანა მენაბდე და ნატო კუთხაშვილი ყოველდღიურად იმ სიახლეებს სთავაზობენ, რაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სამოქმედო და სამუშაო პროგრამას საინტერესოს და მიმზიდველს ხდის. დიახ, თუ მოზარდი, ჩვენი აღსაზრდელი არ დავაინტერესეთ, მას შეიძლება ხვალ აქ, ჩვენთან მოსვლის ინტერესი გაუქრეს.

ჩვენს დაწესებულებას ფართო და ლამაზი სააქტო დარბაზი აქვს, სადაც აქტიურად ტარდება მუსიკალური და სპორტული აქტივობები. მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენ აქ ჩავატარეთ შემოდგომის ზეიმი, საახალწლო მეჯლისი, საინტერესოდ წარიმართა „ღია კარის დღე“ მშობელთათვის, ასევე, ჩავატარეთ აქტივობები მხიარულ თემატიკაზე, ემოციების დაუფლებაზე, გავეცანით წყლის სამყაროს, შევასწავლეთ თევზების ცხოვრება და თავისებურებები.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ თაობა, რომელიც ახლა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კედლებში ეცნობა გარემოს, სამყაროს, წლის დროებს, ბუნებრივ მოვლენებს, ეუფლება მეტყველებას, ბგერების სწორად წარმოთქმას, საგნების დასახელებას თუ ქართული ენის სილამაზეს, მათემატიკურ სამყაროში ციფრების გაცნობას, საოცრად მწველ ინტერესს იწვევს თითოული შესასწავლი მასალის მიმართ, ასევე, აინტერესებთ ხელოვნების ყველა დარგი, სპორტი. ხშირად შეესწრებით მათ მსჯელობას და კითხვებს ისეთ საკითხებზე, რომლებზედაც ვთქვათ, წინა თაობებს არ ჰქონიათ ინტერესი. ამდენად, მათთან აღმზრდელი კარგად მომზადებული და მოტივირებული უნდა შევიდეს. ეს ასეცაა და ჩვენი დაწესებულების კედლებში მუდამ საინტერესო, ხალისიანი ცხოვრების სასიამოვნო და მხიარული ხმები ისმის.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაგიზიაროთ ჩვენი სიხარული – წლობით არსებული პრობლემა, რომელიც ჩვენს ნორმალურ მუშაობას ერთგვარად აფერხებდა, მოგვარდა – დღეს ჩვენს დაწესებულებას ჩვენი გაერთიანების ხელმძღვანელობის ძალისხმევით აქვს წყლის გამაცხელებლები და ბავშვები ორივე სართულზე თბილი წყლით იბანენ ხელებს.

ახლა განსაკუთრებული ყურადღება გვაქვს გადატანილი სასკოლო ასაკის სამივე ჯგუფის აღსაზრდელებისკენ, მალე ისინი დატოვებენ ჩვენი დაწესებულების კედლებს და ახალ ცხოვრებას შეუდგებიან, ამდენად მეტი სიყვარული და დარიგებები უნდა ვუსაგზლოთ, მეტი დოზით შევაყვაროთ ყოველივე ქართული...

სურათებზე: *მომავალი პირველკლასელები*

რას უნდა აძლევდეს საბავშვო ბაღი ბავშვს?

სასურველია იცნობდეს ანბანს, შეეძლოს თვლა

ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ხანია დადგენილია, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის ქცევის წამყვანი ფორმა თამაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ის სწორედ თამაშის პროცესში ვითარდება. სკოლამდელ ასაკში თამაშის სწავლით ჩანაცვლებამ მომავალში შესაძლოა არაერთი პრობლემა წარმოშვას. უმჯობესია, ხსენებულ პერიოდში იმ უნარების განვითარებაზე ვიზრუნოთ, რომლებიც პატარას სკოლაში სწავლის დროს გამოადგება. ასეთი უნარი კი არც ისე ცოტაა:

საგნების შედარების, მათ შორის მსგავსება-განსხვავების დანახვის უნარი;

ცალკეული ნიშნების (ფერის, ფორმის, ზომის) მიხედვით ფიგურების დაჯგუფების უნარი;

5-6 მარტივი შთაბეჭდილების დამახსოვრებისა და აღდგენის უნარი;

ელემენტარული მათემატიკური ცნებების: დიდი, პატარა, ტოლი, გაზრდა, შემცირება, გათანაბრება,– ადეკვატური გამოყენების უნარი;

სივრცესა და დროში ორიენტაციის უნარი; სიტყვების: ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, გუშინ, დღეს, ხვალ, – სწორად, აზრიანად, კონტექსტის შესაბამისად გამოყენების უნარი;

მარტივი ინსტრუქციების შესაბამისად მოქმედების უნარი;

მოსმენის უნარი;

თანატოლებსა და უფროსებთან ურთიერთობის უნარი.

აღნიშნული უნარები სკოლამდელ პერიოდში თამაშის პროცესში უნდა ვითარდებოდეს, ვინაიდან თამაში ამ ასაკის ბავშვის უსაყვარლესი საქმიანობაა. თამაშის დროს ის ბევრ ისეთ რამეს აკეთებს, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა. ბავშვი ძალზე სერიოზულად ეკიდება დაკისრებულ როლს, ისე ზედმიწევნით იცავს თამაშის წესებს, რომ ხშირად ვერც კი იცნობთ. მაგალითად, ცელქი და მოუსვენარი გიო, რომელსაც წუთითაც ვერ აჩერებდნენ, ათი წუთის განმავლობაში გაუნძრეველად იდგა, რადგან სწორედ ამას მოითხოვდა მისგან გუშაგის როლი, რომელიც თამაშის დროს დააკისრეს.

თუ თამაშს, ბავშვის საყვარელ საქმიანობას, სწავლით ჩავანაცვლებთ, შესაძლოა, ჩვენდა უნებურად სწავლის მიმართ ბავშვის უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სკოლამდელი ასაკის პატარას მხოლოდ რამდენიმე მარტივი შთაბეჭდილების დამახსოვრება შეუძლია, ვინაიდან მისი მეხსიერება მეტს ვერ იტევს. თუ მისთვის ზომაზე მეტი ინფორმაციის მიწოდებას ვეცდებით, თანაც – მეცადინეობის ფორმით, დიდია ალბათობა, ბავშვის შფოთვის დონემ აიწიოს და მან სკოლაში სწავლის სურვილი დაკარგოს.

წერა-კითხვისა და ანგარიშის წინასწარ, სკოლაში მისვლამდე სწავლება კიდევ ერთი საფრთხის წინაშე გვაყენებს – შესაძლოა, წერა-კითხვის მცოდნე ბავშვმა აღარ მოისურვოს იმ გაკვეთილზე ყოფნა, სადაც მისი თანაკლასელები ცალკეულ ასოებს სწავლობენ და მარცვლებით კითხვაც კი უჭრთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ სკოლისთვის მომზადების პროცესში თავს შევიკავებთ წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლებისგან, არ დავტვირთავთ ბავშვის გონებას ზედმეტი ინფორმაციით, ნაცვლად ამისა, ვიზრუნებთ იმ უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რომლებიც მას სკოლაში სწავლის დროს გამოადგება და მის აკადემიურ წარმატებას შეუწყობს ხელს – გვმოძღვრავენ ფსიქოლოგები.

აღნიშნული საკითხის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ რამდენიმე რესპოდენტს:

***საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება № 1 – ის მენეჯერი** თამარ ლაფერიშვილი:*

- **სკოლამდელ** პედაგოგიკაში ერთ – ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბავშვის გონებრივ განვითარებას, რაც ძირითადად სწავლების საშულებით ხორციელდება. ამ საკითხის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია თამაშით სწავლება, რადგან ბავშვის გონებრივი აქტივობა ყველაზე მეტად თამაშის პროცესში ვლინდება. ეს კი ყველა ფორმაზე მეტად აკმაყოფილებს სკოლამდელი ასაკის ბავშვის მოთხოვნებს.

სკოლაში შესვლისას ბავშვი უამრავ სიძნელეს აწყდება. ეს სიძნელე კი ძირითადად წერა-კითხვის დაუფლების პროცესში იჩენს თავს. ამიტომ, აღსაზრდელებს უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ ეს სიძნელე უმტკივნეულოდ დაძლიონ.ეს პირობები კი ხატვის, ძერწვის, აპლიკაციის, კონსტრუირების აქტივობებია. წერისათვის ხელის მომზადებაში ბავშვებთან ვიყენებთ აგრეთვე, ხელგარჯილობას, წვნას, ქსოვას, მოზაიკით თამაშს, უჯრედებიანი რვეულის ფურცლებზე ჰორიზონტალური და დიაგონალური ხაზების გავლებას, უჯრების შემოხაზვას, რათა შემდგომში, ბავშვმა სკოლაში ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ისწავლოს წერა.

რაც შეეხება კითხვას, ბავშვები სწავლობენ ბგერების სწორად წარმოთქმას, სათანადო სავარჯიშოებით და სათამაშო სიტუაციების გამოყენებით, ეცნობიან ბგერებს და აფერადებენ მოხაზულ ასოებს.

ასე, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დანიშნულება არის ბავშვის ქცევის თვითრეგულაციის და ემოციის რეგულაციის სწავლება, კომუნიკაციის და მეტყველების, ამასთანავე, აზროვნების განვითარება. რაც შეეხება წერა- კითხვისა და მათემატიკის შესწავლას, დაწესებულებამ უნდა ჩამოუყალიბოს მას ამ აკადემიური ჩვევებისათვის საჭირო უნარები. ამიტომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საბაზო უნარებზე მუშაობს არა მეცადინეობით, არამედ თამაშით, რადგან ბავშვისათვის 6 წლამდე წამყვანი ქცევის ფორმაა თამაში. ***„ბავშვი თამაშობს, მაგრამ უნებლიედ სწავლობს“,*** – ამბობს დიდი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე.

გიული გრძელიშვილი – ***საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კლასების პედაგოგი:***

– ცოდნას ბაზისი ესაჭიროება. წინარე ცოდნაზე დაშენებული ახალი ცოდნა მყარი და საფუძვლიანია.

მნიშვნელოვანია, რომ პირველ კლასში შემოსული ბავშვის გონება ე. წ. “ სუფთა დაფა “ აღარ არის. ის მრავალი ინფორმაციასა და უნარებს ფლობს. რაც უფრო განვითარებულია ეს უნარები, მით მეტი წარმატებებით ეუფლება ახალ ცოდნას, უადვილდება ახალი მცნებების ათვისება. საწყის ცოდნას კი ოჯახი და საბავშვო ბაღი აძლევს.

საბავშვო ბაღში გარკვეული დოზით ისწავლება ქართული ენის და მათემატიკის ელემენტები. ბავშვებს შეუძლიათ მეტყველება, ასო – ბგერათა კლასიფიკაცია, იცნობენ ზოგიერთ ციფრს, ითვლიან, ზოგიერთი ასრულებს შეკრება – გამოკლების მოქმედებებს, იცნობენ გეომეტრიულ ფიგურებს, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ძალიან კარგი იქნება, თუ მშობლები იზრუნებენ ბავშვის წიგნიერებაზე. ოჯახში და საბავშვო ბაღში მეტი ყურადღება დაეთმობა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ზეპირი მეტყველების განვითარებას, ეკოლოგიური საკითხების გაცნობას, ქართული თუ საზღვარგარეთული ლიტერატურის ნიმუშების გაცნობას, ფოლკლორის (ზღაპრების, ანდაზების, გამოცანების), მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენებით. სასურველია, ბავშვმა იცოდეს ლექსები, ზღაპრები, ნაცნობი იყოს მისთვის ბევრი მხატვრული ნაწარმოებიმოთხრობა, ზღაპარი. შეეძლოს მისი გადმოცემა ზეპირმეტყველებით ინდივიდუალური შესაძლებლობიდან გამომდინარე.

მდიდარი ლექსიკა ბავშვს ეხმარება შეიმეცნოს გარე სამყარო, აღიქვას ბუნება, გაერკვეს ცხოვრებისეულ საკითხებში,ადამიანებთან ურთიერთობებში, ცოდნის დაუფლებაში, უცხო ენის და სხვა საგნების, ხელოვნების შესწავლაში.

გვახსოვდეს, რომ სასკოლო მზაობის ხარისხი განაპირობებს მის მომავალ წარმატებებს სწავლაში.

21 წლის შემდეგ კვლავ ახმაურდა ჩიჩხიტური
ეს იყო ქართული ტრადიციების, ქართული მიწის სიყვარულის კიდევ ერთი ლამაზი დღე

დასასრული

***ჯოს მუნიციპალიტეტის მერის* ბიორგი ერბოწონაშვილის** მისამართით.

„გარეჯობა“ გახსნა და ეს ლამაზი დღე მიულოცა ზეიმის მონაწილეთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა* ბიორგი ერბოწონაშვილმა.** მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას აქტიურობასა და იმ ტრადიციის გახსენებისათვის, რომელიც საგარეჯოს მაშინდელი პარტიის რაიკომის მდივანმა მედეა მეზვრიშვილმა ჩაუყარა საფუძველი 1976 წელს. მან დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისა და „გარეჯობის“ მატერიალურ და ეროვნულ ფასეულობებზე და მნიშვნელობაზე ისაუბრა და ზეიმის მონაწილეთ დაპირდა – გაისად უფრო დიდი მასშტაბით ვიზეიმებთო. „გარეჯობა“ მიულოცეს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ* ოთარ ჩალათაშვილმა** და ***აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორმა* ბესიკ ღვინაშვილმა.**

ზეიმი ტრადიციულად დოღით გაიხსნა, რომელშიც სოფელ უდაბნოს ახალგაზრდობა მონაწილეობდა და გამარჯვებულმა ლუკა მარგიანმა ტრადიციული ჯილდო – ჭედილაც დაიმსახურა.

ნახერხმოყრილ მოედანზე ქართულ ჭიდაობაში ერთმანეთს ეპაექრებოდნენ აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ მოჭიდავეები. ჭიდაობაში გამარჯვებულისათვის დაწესებული ჯილდო – ჭედილა საგარეჯოელ მოჭიდავეს ლაშა მათიაშვილს ხვდა წილად.

„გარეჯობაზე“ საგარეჯოელმა ხელოვანებმაც მოიწონეს თავი თავიანთი შემოქმედებით. ხეზე კვეთის დიდოსტატს მანაველ გიორგი (ცაცა) ზულიაშვილს წარმოდგენილი ჰქონდა თავისი უიშვიათესი სილამაზის შედევრები, გამოფენილი იყო და დამთვალიერებელი არ მოჰკლებია საგარეჯოელი მხატვრის თამარ იორამაშვილის ნახატებს, ახალგაზრდა პედაგოგის თეა ბუზარიაშვილის ქართული ხალხური რეწვის ნიმუშებს.

ზეიმის მონაწილენი დიდი ოვაციებით შეხვდნენ კონცერტზე გამოსულ საგარეჯოელ და მოწვეულ ხელოვან ადამიანებს. ლევან გოთუას „გარეჯულას“ მიხედვით წარმოდგენილი სპექტაკლის ამონარიდს ცრემლებით ადევნებდა თვალს მაყურებელი. მსმენელთა მოწონება დაიმსახურეს ქართული ფოლკლორული სიმღერების შემსრულებელმა ანსამბლებმა „პატარა გარეჯელები“ (ხელმძღვანელი ბექა ღვინაშვილი), „გარეჯი“ (მალხაზ ივანელაშვილი), „გარეჯი“ (სოფელ უდაბნოდან, ხელმძღვანელი ფიქრია მარგიანი), „კასლეთილა“ (ფიქრია მარგიანი), „ბერიკაცები“ (ნიკო გიგოშვილი), ანსამბლები „ძმები“ და „ალილო“. სცენას ამშვენებდნენ საგარეჯოსა და ჩაილურის სკოლებთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები. მომღერალმა ტატო გოდერძიშვილმა შეასრულა მარინა შანიძის ლექსზე დაწერილი სიმღერა. კონცერტის მშვენება იყო უკრაინის ფოლკლორული მუსიკალური ჯგუფის „მუსიკ-ბომბ“-ის წევრის ივანა კოტიაშ-ელერდაშვილის მიერ შესრულებული სიმღერები.

ზეიმის მონაწილეთ სცენიდან მიესალმნენ დანიელი და სომეხი სტუმრები, რომლებიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე სოფელ უდაბნოში ახალგაზრდულ ფესტივალს გამართავენ.

ზეიმის დასასრულ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა დამსწრე საზოგადოებას კვლავ შეახსენა „გარეჯობის“ ტრადიცია და „საპატიო გარეჯელის“ წოდება მიანიჭა და მედლები გადასცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა პროფესიაში თავნასახელებ, საზოგადოებისთვის სათაყვანებელ და საამაყო პიროვნებებს: მოჭიდავეებს – გივი ონაშვილს, ლევან თედიაშვილს, პოეტ რომან ზუკაკიშვილს, ხელოვანს – ნელი გულიკაშვილს, ექიმს – ლენა ანუაშვილს, პედაგოგს – თამარ გოცირიძეს, მოჭიდავესა და წლების განმავლობაში უდაბნოს ყოფილი მეცხვარეობის მეურნეობის დირექტორს, უდაბნოსა და გარეჯის დიდ გულშემატკივარსა და დამცველს ილია ქელეოვიძეს, ისტორიკოსსა და კულტურის დამსახურებულ მოღვაწეს – ალექსანდრე ელერდაშვილს (სიკვდილის შემდეგ).

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა კიდევ ერთხელ გადაუხდა მადლობა ზეიმზე მოსულ ხალხს და ისაუბრა ამ სახალხო დღესასწაულის აღნიშვნის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე და შეხვედრის ადგილად კვლავ ეს ადგილი დაითქვა მომავალი წლის მაისისათვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში – **ირაკლი ძადიშვილი** და საქართველოს კულტურის, განათლების სამინისტროსა და გუბერნიის წარმომადგენლები.

დიდხანს არ იშლებოდნენ აქ მოსულები, რადაცნაირად არ ეთმობოდათ მონატრებული ადგილების დატოვება.

სახალხო მედიცინას უბრუნდება ადამიანი

ჰირუდოთერაპია – მივიწყებული მკურნალობა

წურბელ-ებით მკურნალობის მეთოდს ჩვენი წინაპრები ოდითგანვე იყენებდნენ. ეს მეთოდი გასული საუკუნის 60-იან წლებამდე მართლაც მიღებული იყო და წარმატებულადაც ითვლებოდა, მაგრამ შემდეგ ფარმაკოლოგიის დარგის განვითარებამ დღის წესრიგიდან ამოიღო წურბელებით მკურნალობა. უკანასკნელ ხანს ევროპის მთელი რიგი ქვეყნები დაინტერესდნენ და ეს ინტერესი სულ უფრო იზრდება, თუმცა ამ მეთოდით სხვადასხვა დაავადებებით მკურნალობაზე აზიური ქვეყნები უფრო ინტერესდებიან.

ჩვენი გაზეთის ამ ნომრის სტუმარია საგარეჯოელი ჰირუდოთერაპევტი, პროფესიით მედიცინის მუშაკი – მედიცინის და – **ზინკა ჩიტაური-დავითელაშვილი,** რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში კარგად იყო გათვითცნობიერებული წურბელებით მკურნალობაში. დეიდამისი, რომელიც უკრაინაში დაიბადა და გაიზარდა, ოჯახით ყარაგანდაში ცხოვრობდა და იქ ცნობილი სამკურნალო ცენტრის ჰირუდოთერაპევტი-ექიმი იყო, რომელსაც მათთან – სოფელ ქვემო ქედში სტუმრობისას მთელი სოფელი კი არა, რაიონი სიხარულით ხვდებოდა. ზინკას დედაც თანასოფლელებს სხვადასხვა დაავადებების გამწვავებისას წურბელებით მკურნალობდა და მაშინ, როცა სოფელს ექიმი არ ჰყავდა.

ზინკას ემიგრაციაში ყოფნა საბერძნეთში მოუწია, სადაც ისეთ ოჯახში ცხოვრობდა, რომელიც ჰირუდოთერაპიას მისდევდა და ცნობილი ექიმი-მკურნალებიც იყვნენ. მათ თავიანთ პატარა სამკურნალო ცენტრში ზინკას ბევრი რამ შეასწავლეს და დააოსტატეს. შემდეგ, საქართველოში დაბრუნებისას სათანადო კურსი გაიარა თბილისშიც, სანკტ-პეტერბურგშიც და დღეს სერტიფიცირებული მკურნალია. ისეთი სითბოთი და სიყვარულით საუბრობს იმ პატარა არსებების თვისებებზე (რომელთა დანახვაც პირადად მე ბავშვობიდანვე არც კი შემიძლია), მათ დანიშნულებასა და სამკურნალო შესაძლებლობებზე, შეიძლება თქვენთვისაც საინტერესო იყოს, ჩვენი გაზეთის ძვირფასო მკითხველო.

– ქალო ზინკა, რა არის ჰირუდოთერაპია და თუ შეიძლება მოკლედ გვითხარით მის წარმომაელობაზე.

– წურბელებით მკურნალობის ისტორია უძველესი დროიდან მოდის და სულ მცირე 18 მილიონ წელს მოიცავს. პირველი მონაცემები მათ შესახებ აღმოჩენილია ძველ ეგვიპტეში კედლების წარწერებსა და ფარაონის საძვალეებში. ფართოდ გამოიყენებოდა ისინი ინდოეთში, ძველ რომსა და აღმოსავლეთის მედიცინაში. ცნობილია ანტიკური მედიცინის კლასიკოსების, რომაელი ექიმების პლინიუს უფროსის (ახ. წ. I საუკუნე), კლაუდია გალენის (II საუკუნე), რომაელი ექიმების – ანტილიუსის, აეციას (Vს) ნაშრომები, ავიცენას (X-XIსს) მოღვაწეობის პერიოდში წურბელები პანაცეად ითვლებოდა. შემდგომში – XVII-XVIII-XIX საუკუნეებში ჰირუდოთერაპია დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპასა და რუსეთში. არც ერთი ექიმი გამოძახებაზე არ მიდიოდა წურბელების გარეშე, რადგან ეს „პაწაწინა ექიმები“ თითქმის ერთადერთი საშუალება იყო სასწრაფო დახმარებისა. ევროპაში საკუთარი რესურსები არ ჰყოფნიდათ და ისინი რუსეთიდან შეჰქონდათ.

შემდეგში კი ქიმიური პრეპარატების სიუხვემ დღის წესრიგიდან განდევნა წურბელები. მაგრამ, ცნობილია, რომ ქიმიური პრეპარატები თუ ერთ ორგანოს ან დაავადებას მკურნალობენ, მეორეს, სხვას აზიანებენ. XX საუკუნის ბოლოს ისევ აღორძინდა ჰირუდოთერაპია. წურბელით მკურნალობას ალტერნატივა არა აქვს, იგი ყველა სომატური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა.

– თუ შეიძლება „გაგვაცანით“ წურბელა...

– დედამიწაზე 400-ზე მეტი სახეობის წურბელა არსებობს. ჩვენთან (და საერთოდ, რუსეთისა და დსთ-ს ტერიტორიაზე ბინადრობს ორი სახეობა – სამკურნალო და ე.წ. ცხენის წურბელა). სამედიცინო წურბელა, თავის მხრივ, სამ სახეობას შეიცავს: სამკურნალოს, სააფთიაქოს და აღმოსავლურს. ქართულ წურბელებს ზურგზე გრძელი, შავი და სტაფილოსფერი წერტილებისგან, მუცელზე კი განივი მწვანე-შავი წერტილებისგან შემდგარი ზოლები აქვთ. აღმოსავლური სახეობა უფრო ღია ფერებისაა, მუცელი შავი ფერის აქვს. წურბელა ძალზედ მგრძნობიერია, ის კარგად გრძნობს პაციენტის და ექიმის გუნება-განწყობას, მასზე მოქმედებს ამინდის ცვალებადობაც.

ცხენის წურბელაც რამდენიმე სახეობას მოიცავს. მათგან ორი ძალიან ჰგავს სამედიცინო წურბელას.

სახლის პირობებში ცხოვრობენ წყლით სავსე ქილებში

წურბელის ორგანოები საკმაოდ რთული აგებულებისაა. სამი ძლიერი ყბა აქვს – თითოეული 60 ან 100 კბილით. სეანსის დროს ის საშუალოდ 7-10 სმ3 სისხლს წოვს. მის გადასამუშავებლად მას 6 თვე სჭირდება. კვების გარეშე ძლებს 1-3 წელი. ის ისეთი „ღორმუცელაა“, შეიძლება მის მიერ გამოწოვილი სისხლი 3-ჯერ აღემატებოდეს მისი სხეულის მასას.

– მის სამკურნალო თვისებებზე რას გვეტყვით?

– დიდ ინტერესს იწვევდა მედიცინაში – როგორ ახერხებდა წურბელა, ვთქვათ თრომბის გათხელებას და გაწოვას. 1922 წელს ლაბორატორიულ პირობებში აღმოჩენილ იქნა წურბელის სეკრეტის ერთ-ერთი ფერმენტი – ჰირუდინი (სახელწოდება წურბელის ლათინური დასახელება „ჰირუდადან“ მოდის). შემდეგ კი, მის ნერწყვში არსებული ფერმენტები: პეპარინი, პიალუმინოზა, აპირაზა, კოლაგენი, ტრიგლიცერინიდაზა, ქოლესტერინ-ექსტერაზა და ჯერ კიდევ შეუსწავლელი 200-მდე ფერმენტი. აღიარებულია, რომ მიკროცირკულაციის სისტემიდან სისხლის გამოშვების ერთ-ერთი საშუალება წურბელაა. ცნობილია, რომ უჯრედებში და ქსოვილებში საკვები ნივთიერებების მიწოდებისა და ცხოველმყოფელობის პროდუქტების (ნარჩენების) გამოდევნა კაპილარების, არტერიოდების, ლიმფური ძარღვების და ვენულების ძირითადი დანიშნულებაა. მიკროცირკულაციის დარღვევა მარტო ცალკეული ქსოვილების და ორგანოების დარღვევას და დაავადებას კი არ იწვევს, არამედ მთელი ორგანიზმის დაავადებასაც. წურბელები კი, პირველ რიგში, სისხლის მიმოქცევას აღადგენენ. წურბელის კბენისას შეშვებული ბიოაქტიური ელემენტები ახდენენ გამაღიზიანებელ ეფექტს. იმპულსები გადაეცემა ზურგის ტვინის გარკვეულ სეგმენტებს და რეფლექსურად ცვლის ვეგეტატიური და ცენტრალური ნერვიული სისტემის ფუნქციას. ასევე, წურბელების ბიოაქტიური ნივთიერებები ააქტიურებენ ორგანიზმის იმუნურ სისტემას.

– რატომაა წურბელები ეფექტური ნებისმიერი დაავადებების დროს?

– წურბელებით მკურნალობას სხვა სახის სამკურნალო საშუალებებთან უპირატესობა ისაა, რომ წურბელების სანერწყვე ჯირკვლების მიერ გამოყოფილი სეკრეტი ზემოქმედებს დაავადების გამომწვევ საბაზო მექანიზმებზე; როგორიცაა: ქსოვილის ჰიპოქსია, იშემია და სისხლის მიკროცირკულაციის დარღვევა. წურბელის სეკრეტი შეიცავს ადამიანისათვის საჭირო ყველა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას.

საინტერესოა ისიც, რომ სამკურნალოა ის წყალიც, რომელშიც წურბელები რამდენიმე დღე იმყოფებიან, აგრეთვე მათ მიერ ადამიანის სხეულიდან გამოწოვილი სისხლიც.

– საინტერესოა, მაინც რა დაავადებებს მკურნალობს წურბელა?

– როგორც ვთქვით, ზემოთაც – ბევრს. მაგრამ, დავაკონკრეტოთ: კარდიალგიას, ჰიპერტონიას, სტენოკარდიას, გულის უკმარისობას, სასუნთქი სისტემების პათოლოგიებს, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, ალერგიას, ქირურგიას, მოტეხილობას, ფურუნკულებს, ვარიკოზულ დაავადებებს, თრომბოფლებიტს, შეუხორცებელ წყლულებს, ჰემოროის და მსხვილი ნაწლავის ნაპრალებს, მასტიტს, რადიკულიტს, გინეკოლოგიურ, უროლოგიურ, პროსტატის ჯირკვლის დაავადებებს, თვალის დაავადებებს – გლაუკომას, ანთებით პროცესებს, ასევე, ვაზომტორულ რინიტს, ყურის დაავადებებს. მოკლედ რომ ვთქვათ, წურბელებით მკურნალობა ნაჩვენებია შემდეგი დარღვევების დროს: ორგანოებში და ქსოვილებში ვენური შეგუბებები, ლიმფოსტაზი და ორგანიზმში სითხის დაგროვება (შეშუპება), არტერიებისა და ვენების თრომბოზი, ქსოვილებისა და ორგანოების კვების (ტროფიკის) დარღვევა. აქვე გეტყვით, რომ ნებისმიერი ვიწრო სპეციალობის ექიმს შეუძლია წურბელების გამოყენება თავის საქმიანობის სფეროში.

– შეიძლება, რაიმე გართულება მოჰყვეს ჰირუდოთერაპიას?

– არავითარი. თუ არ ჩავთვლით პროცედურის შემდეგ კანის ქავილს, რაც ორგანიზმში არსებული შლაკებითაა გამოწვეული, ან შეიძლება სხეულის შეწითლება, შესივება, შეიძლება ტემპერატურის მომატება, კანკალის შეგრძნება. მაგრამ ეს ყველაფერი მალე გაივლის. რაც უფრო ძლიერია ორგანიზმის რეაქცია, ანუ შესივება (იმ შემთხვევაში თუ შემაწუხებელია ქავილი და შეშუპება , შეიძლება მივიღოთ ანტი ჰისტამინური პრეპარატები), მით მეტი ეფექტი აქვს წურბელის მოქმედებას. მინდა დარწმუნებით გითხრათ, რომ წურბელის სეკრეტის მოქმედებას არავითარი გვერდითი მოვლენა. არ აქვს, ბუნებრივი გზით ახერხებს ორგანიზმის დარღვეული სასიცოცხლო ფუნქციების აღდგენას. მინდა გითხრათ, რომ წურბელა ერთჯერადად გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მისი 6 თვის შემდეგ გამოყენებაც.

ფეხბურთი

ქართველი და აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების დასამეგობრებლად

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ერბოწონაშვილის ინიციატივითა და მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის გაიმართა ყოველწლიური ტურნირი მინი-ფეხბურთში. წლევანდელი შეჯიბრების მთავარ მიზანს ქართველი და აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეების დამეგობრების, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

ტურნირში მონაწილეობდნენ ქალაქ საგარეჯოს ოთხივე საჯარო სკოლის, ნინოწმინდის, დუზაგრამის, იორმუღანლოსა და ლამბალოს საჯარო სკოლების მოსწავლეებისგან დაკომპლექტებული გუნდები.

შეხვედრები ორ ეტაპად გაიმართა. პირველ დღეს მონაწილე გუნდებს ლამბალოს საჯარო სკოლამ, ხოლო მეორე დღეს საგარეჯოს მე-4 საჯარო სკოლამ უმასპინძლა.

აღსანიშნავია, რომ მთელი ტურნირი ძალიან მეგობრულ, ხალისიან და აზარტულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. გუნდების მხარდამჭერმა ბევრმა მოსწავლემ გამოხატა სპორტულ წრეებში ჩაბმის და აზერბაიჯანულენოვან თანატოლებთან დამეგობრების სურვილი.

პირველი ადგილი არავის დაუთმეს ***ნინოწმინდელმა მოზარდებმა, მეორე ადგილი*** კი ქალაქ **საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის** მოსწავლეებმა დაიკავეს. მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომელმა, უფროსმა სპეციალისტმა სპორტის საკითხებში ლაშა იაკობიძემ გამარჯვებულებს თასები და საპატიო დიპლომები გადასცა.

უახლოეს პერიოდში, პირველ ადგილზე გასული გუნდი მონაწილეობას მიიღებს მინი-ფეხბურთში დაგეგმილ რეგიონულ ტურნირში.

„ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდების სწორი ფიზიკური, მორალური და მოქალაქეობრივი აღზრდა. საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს არაჩვეულებრივი, ნიჭიერი, მეგობრული და პოზიტიური მომავალი თაობა. ყველაფერს ვაკეთებთ და არც მომავალში მოვაკლებთ ძალისხმევას ქართველი და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი მოზარდების დამეგობრების, აგრეთვე მათ შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობას,“- განაცხადა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **გიორგი ერბოწონაშვილმა.**

კიკბოქსინგი

კვლავ საქართველოს ჩემპიონია

წარმოშობით საგარეჯოელი დავით (უმცროსი) ლაფაჩიშვილი სამჯერ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი (ჭაბუკებში), მსოფლიოს ჩემპიონი კატებში, შავი ქამრის მფლობელი 12 მაისს მეთორმეტედ გახდა საქართველოს ჩემპიონი კიკბოქსინგში. 15 წლის დავითი ამჟამად 55 კგ წონით კატეგორიაში გამოდის. დავით უმცროსი აგვისტოში ესპანეთში დაგეგმილი მსოფლიო პირველობისთვის აქტიურად ემზადება.

წარმატებები ვუსურვოთ გარეჯელ მებრძოლს.

ორი ოქრო იოსებ ბერიშვილის რესპუბლიკური ტურნირიდან

25-26-27 მაისს რაჭაში, ონის საჭიდაო არენაზე ჩატარდა ევროპის თასის მფლობელისა და მსოფლიო პრიზიორის იოსებ ბერიშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში საქართველოს ყველა რაიონის, მ.შ. ჩვენი მუნიციპალიტეტის აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ოთხი მოჭიდავე, სულ ქვეყნის 180 „კლასიკოსი“ იღებდა მონაწილეობას.

ჩვენი მოჭიდავეებიდან საფინალო ორთაბრძოლა აშკარა უპირატესობით დაასრულეს და ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ლუკა თედიაშვილი (23კგ) და ლუკა მარტიაშვილი (38კგ. მწვრთნელები თ. ყიფიანი, ს. მარტიაშვილი).

ისევ ვარკეთილში და ისევ პირველი ადგილი

იორმუღანლოს საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე **ჯოშგუნ მახაროვის** კიკნბოქსინგში მიღწევები ჩვენმა გაზეთმა ამა წლის თებერვალში უკვე ამცნო ჩვენი გაზეთის მკითხველს.

31 მარტს ჯოშგუნ მახაროვმა კვლავ მიიღო მონაწილეობა თბილისში, ვარკეთილის ბაზაზე კიკნბოქსინგში საქართველოს კლუბებს შორის ჩატარებულ ღია რინგში და კვლავ პირველი ადგილი დაიკავა 58 კგ წონით კატეგორიაში, რისთვისაც გადაეცა კიკნბოქსინგის ეროვნული ფედერაციის შესაბამისი მედალი და სიგელი.

გარეკახელი

საბჭოთა კავშირის 17 გზის ჩემპიონის სახელობის ტურნირზე

27-28-29 აპრილს საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ყოფილი საბჭოთა კავშირის 17 გზის ჩემპიონის, სპორტის ოსტატის თავისუფალ ჭიდაობაში, არსენ მეკოკიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2002, 2003, 2004 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ: ახმეტის, დედოფლისწყაროს, ბოლნისის, ქარელის, სოფელ გამარჯვების, გორის, თუშეთის, თბილისის “ოლიმპიური მომზადების ცენტრის” და რა თქმა უნდა, საგარეჯოს აიპ “სპორტ-გაერთიანების” თავისუფალი სტილის მოჭიდავეები.

პირველი ადგილები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოჭიდავეთაგან დაიკავეს:

26 კგ წონითი კატეგორია – ქისტაური გიორგი (საგარეჯო, ხაშმი)
38 კგ წონით კატეგორიაში - ასაბაშვილი თორნიკე
57 კგწონითი კატეგორია –ქურხული გიგი
75 კგ წონითი კატეგორია-კუჭუაშვილი დავითი

მეორე ადგილი დაიკავეს:

23 კგ წონითი კატეგორია – როსტომაშვილი გიორგი
26 კგ წონიტი კატეგორია – მელაშვილი ნიკა
29 კგ წონითი კატეგორია – მელაშვილი გიორგი
35 კგ წონითი კატეგორია – ბლუიშვილი ნიკა (ხაშმი)
38 კგ წონითი კატეგორია – გულისაშვილი შალვა
62 კგ წონითი კატეგორია – ქვლივიძე ფირუზი

მესამე ადგილი დაიკავეს:

29 კგ წონითი კატეგორია – საგინაშვილი ნიკა
35 კგ წონითი კატეგორია – დიღმელაშვილი დავითი (ხაშმი)
48 კგ წონითი კატეგორია – საგინაშვილი გიორგი
52 კგ წონითი კატეგორია – თულაშვილი თორნიკე

საგარეჯოელთაგან არსენ მეკოკიშვილის სახელზე მისი შვილის გოგი მეკოკიშვილის მიერ დაწესებული პრიზები გადაეცათ თორნიკე ასაბაშვილს, დავით კუჭუაშვილსა და გიგი ქურხულს. საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენებს შესაბამისი მედლები, თასები და პრიზები გადაეცათ.

ტურნირის მთავარი მსაჯი იყო ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ღირსების ორდენოსანი, გინესის წიგნში შეტანილი- სამ წამში წმინდა მოგების მოპოვებისათვის, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ლევან თედიაშვილი.**

კლუბი „საგარეჯო-2“

მეორე წელია წარმატებით მიმდინარეობს

სპორტსმენია წვრთნა-მომზადება სპორტულ კლუბ “საგარეჯო 2”-შიუკვე ორი წელია მიმდინარეობს. როგორც ***სპორტული კლუბის*** დირექტორმა **გია მაისურაძემ** გვითხრა: კლუბი 2016 წელს დაფუძნდა. მისი დამფუძნებლები მასთან ერთად არიან: სოლომონ პავლიაშვილი, გია ხოსიტაშვილი, გივი ონაშვილი, ოთარი მუჩიაშვილი, გიორგი მარხვაშვილი, გია ადუაშვილი. კლუბის ძირითად მიზნებს და ამოცანებს შეადგენს სპორტულ სახეობებში მონაწილეობის მიღება საქართველოს, საერთაშორისო ჩემპიონატებსა და სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში. კლუბი თავადაც აწყობს და მონაწილეობს სხვადასხვა სახის სპორტულ, ასევე საქველმოქმედო ღონისძიებებში და ა.შ.

დღეს კლუბში 70-ზე მეტი მოსწავლე-სპორტსმენია გაერთიანებული. ისინი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოქმედ ძიუდოს სექციების მოსწავლეები არიან.

28-29 აპრილს, უნგრეთის ქალაქ ბუდაპეშტში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრი ძიუდოში, სადაც კლუბი „საგარეჯო-2“ -ის 12 ძიუდოისტი იღებდა მონაწილეობს, აი ისინიც:

ლუკა დარისპანაშვილი. თენგო ზირაქაშვილი, იაგო გულბანი, პავლე პავლიაშვილი, დავით კევლიშვილი, გიგი ხოსიტაშვილი, დავით ჩართოლანი, ბექა დიღმელაშვილი, ნიკოლოზ თათრიშვილი, ნინო ლოლაძე, მარიამ ლაფაჩიშვილი, მარიამ მიქაძე.

ჩვენმა ნორჩმა ძიუდოისტებმა ასახელეს საქართველო და საგარეჯოელებმა 6 მედლით გაგვახარეს. 1 ოქრო- თენგო ზირაქაშვილი. 1 ვერცხლი- ნინო ლოლაძე. 4 ბრინჯაო - მარიამ ლაფაჩიშვილი, დავით კევლიშვილი, ბექა დიღმელაშვილი. ბექამ ორ ასაკობრივ ჯგუფში ორჯერვე ბრინჯაო დაიმსახურა.

ლუკა დარისპანაშვილმა პირველად იასპარეზა 30კგ. წონით კატეგორიაში და პირველივე შეხვედრაში დაამარცხა პოლონეთის წარმომადგენელი, რომელიც ძლიერ მოწინააღმდეგედ ითვლებოდა, შემდეგ კი დამარცხდა უკრაინელ მოჭიდავესთან, რომელიც გახდა ამ ტურნირის გამარჯვებული.

ნიკოლოზ თათრიშვილს მსაჯებმა დაუკარგეს შეფასება და ვეღარ შეძლო შემდგომ შეჯიბრის გაგრძელება.

გიგი ხოსიტაშვილმა კარგად დაიწყო ასპარეზობა 60კგ-ში პირველად. მან მოიგო პირველი შეხვედრა და იგებდა მეორესაც ვაზარით, მაგრამ მოყვა მახრჩობელა ილეთზე და გამოეთიშა შეჯიბრს.

ამჯერად ოთხმა სპორტსმენმა პირველად იასპარეზა მაღალ წონით კატეგორიაში, თანაც ძალიან ძლიერ შეჯიბრზე.

სპორტსმენებმა 3 დღეს ივარჯიშეს ბუდაპეშტში და 3 მაისს დაგვიბრუნდნენ საქართველოში.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს,*** ჭეშმარიტად უღალატო ადამიანს, ქართული ტრადიციების დამცველს, საამაყო ოჯახის თავკაცს **ილია სიფროშვილს.** ვუსურვებთ სიხარულს, სიკეთეს და წარმატებებს სამსახურეობრივ საქმიანობაში.

საგარეჯოს
მუნიციპალიტეტის საკრებულო

მოყვარულთათვის
ცურვის სეზონი გაიხსნა

საგარეჯოს №105 სასპორტო სკოლას ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ცურვის შესასწავლად და მოყვარული მოცურავეებისათვის მომსახურების გასაწევად ორი საცურაო აუზი გააჩნია: დიდი, ღია აუზი მოყვარული მოცურავეებისათვის და მცირე ზომის დახურული აუზი – ბავშვებისათვის. როგორც წესი, ცურვის სეზონი სკოლაში 20 მაისიდან იხსნება ხოლმე და იმის გასარკვევად, თუ როგორი მზადყოფნით შეხვდებიან ამ კამპანიის დაწყებას, 16 მაისს ვეწვიეთ და ვესაუბრეთ ***სკოლის დირექტორს*** **იოსებ კვეზერელს.** ბ-ნ იოსებს 1 ივნისს ამ თანამდებობაზე მუშაობის 1 წელი უსრულდება. მანამდე პროფესიით მეღვინე-ტექნოლოგად მუშაობდა სადაზღვევო კომპანია „აი-სი ჯგუფის“ გაყიდვების მენეჯერად, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საგარეჯოს სათავე ნაგებობების უბნის უფროსად.

სკოლაში მისულს დირექტორთან ერთად მთავარი ბუღალტერი თემურ ილაურიც დამიხვდა, რომელიც აქ სკოლის ამოქმედების დღიდან მუშაობს.

როგორც მათთან საუბრიდან გაირკვა, დახურული საცურაო აუზის მიმდინარე რემონტი – შეღებვა ჩატარდა სკოლის საკუთარი ძალებით. რამდენიმე დღეში კი დაიწყება მისი წყლით შევსება და გათბობა, რისთვისაც სკოლას გააჩნია საკუთარი წყალმომარაგების არტეზიული ჭა და გამათბობელი სისტემა. პარალელურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის დაწყებისათვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები, გასახდელებისა და საშხაპეების წესრიგში მოყვანა და სხვა. მათი განცხადებით აღნიშნული აუზის გახსნა 20 მაისიდან იგეგმება. რაც შეეხება დიდ საცურაო აუზის გახსნას, აქ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის აქტიური მხარდაჭერით მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რასაც შპს „აგა“ აწარმოებს. 16 მაისის მდგომარეობით დამთავრებული იყო აუზის ლითონის ფილებით შემოღობვის სამუშაოები, მიმდინარეობს წყლის ცირკულაციის დაზიანებული მილების ამოცვლა და როგორც ფიქრობენ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელმა შემთხვევამ არ შეუშალათ ხელი, სამუშაოები მაისის ბოლოსთვის დასრულდება და ივნისიდან უკვე შეეძლებათ დიდ საცურაო აუზზეც მიიღონ ბავშვები.

– მართალია, თქვენ და თქვენს სკოლას ოფიციალურად გაკისრიათ ჩვენი პატარებისათვის ცურვის სწავლება, მაგრამ ჩვენმა აზერბაიჯანული ეროვნების მოზარდებმა ამ საქმეში „წინ გადაგისწრეს“. ისინი ცხელ დღეებში დადიან მდინარე იორზე საბანაოდ და აგერ ორ კვირაზე მეტია „უფასოდ“ ეუფლებიან ცურვას. სამწუხაროდ იორის სიშორის გამო, ჩვენი პატარა თანამოქალაქეები ვერ მიდიან იქ და გინდაც შეძლონ ეს, უფრო მეტ ხარჯებთან და რისკებთანაც არის დაკავშირებული, ვიდრე თქვენს სკოლაში სიარულია. როგორც ვიცი, თქვენთან ცურვის შესწავლაც და საცურაო აუზით სარგებლობა შეღავათიან, თითქმის მიზერულ თანხებში ხდება და იმედია ამ წელშიც ასე იქნება. მგონი ურიგო არ იქნება, თუ ამ საქმით დაინტერესებულ მკითხველს გადასახადის შესახებაც შევახსენებთ.

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესაბამისად სკოლის დახურულ აუზზე ბავშვებისათვის სასწავლო აბონემენტის ღირებულება ერთი თვის განმავლობაში (12 მეცადინეობა კვირაში სამ დღეს (გარდა კვირისა) თითო საათით) დადგენილია 30 ლარის ოდენობით. ღია საცურაო აუზზე ცურვის მოყვარულთათვის შემოღებული გვაქვს ოთხი სახის აბონემენტი. ესენია: ა) 1 კვირის (7 დღე) დღეში 2 საათი – 20 ლარი; ბ) ორი კვირის ვადით (ყოველ დღე 2 საათი, გარდა კვირისა) – 30 ლარი; გ) ერთი თვის განმავლობაში (ყოველ დღე 2 საათი, გარდა კვირისა) – 60 ლარი. დ) ერთჯერადი საშვის ღირებულებაა 5 ლარი.

– როგორ მოხდება სკოლაში ცურვის შესასწავლად ბავშვების მიღება და აბონემენტის შეძენა?

– სკოლაში ცურვის შესასწავლად ბავშვების მისაღებად აქ ბავშვებმა და მშობლებმა უნდა მოგვაკითხონ პირადად სკოლის დირექციას და აქ მათი სურვილის მიხედვით მოხდება სწავლების დღეებისა და საათების შერჩევა.

გამოსათხოვარი
ალექსანდრე ელერდაშვილი

საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში დაბადებულ და გაზრდილს კარგად ჰქონდა შესისხლხორცებული სიყვარული მშობლიური მხარისა და სიყვარული თითოეული ისტორიული ძეგლისა. არ დარჩენილა წიგნი, ისტორიული ნაშრომი, რომელიც მისთვის სამაგიდო, ყოველდღიურ საკითხავად არ გამხდარიყო, საოცარი გულმოდგინებით სწავლობდა პატარძეულის მიწაზე მიმობნეულ გოდოლებისა და ნიშების, ეკლესია-მონასტრების თითოულ ჩუქურთმასა და წარწერას, ტკივილამდე განიცდიდა ეკლესიაზე გაჩენილ პატარა ნაბზარსა და ნაკაწრს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა და თავისი განსწავლულობით აოცებდა პროფესორ-მასწავლებლებს. არც სტუდენტობისას მოიშალა ისტორიული ძეგლების შ სწავლის სურვილი და უქმე დღეებში ზურგზე საგზალმოკიდებული ფეხით დადიოდა ჩვენი რაიონის ყველა ისტორიული ძეგლის შესასწავლად და აღსაწერად. და თუ დღეს ჩვენ გვაქვს ჩვენი რაიონის ისტორია, ეს სწორედ ბატონი ალექსანდრე ელერდაშვილის დამსახურებაა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეთავაზება ჰქონდა გაეგრძელებინა სამეცნიერო ცხოვრება, მაგრამ, მან მშობლიურ რაიონში არჩია დაბრუნება და გაზეთ “ივრის განთიადში” დაიწყო მუშაობა, შემდეგ მუშაობდა რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, იყო პარტიის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, “ივრის განთიადის” რედაქტორი, საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მაგრამ სადაც კი იმუშავა , ყოველთვის ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, კითხულობდა ლექციებს ჩვენი რაიონის, ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესახებ, აქვეყნებდა ნაშრომებს, ნარკვევებს , ისტორიულ რომანებს, მისი “გარეჯული ქრონიკებით” ბევრი იყო დაინტერესებული, გაზეთში აქვეყნებდა საგარეჯოში გავრცელებული გვარების წარმომავლობას, გამოსცა წიგნი “საგარეჯო”, “ნინოწმინდა”, წიგნი მიუძღვნა საგარეჯოს კულტურის ამაგდარ ადამიანებს, გამოსაცემად გამზადებული ჰქონდა წიგნი “გიორგიწმინდა”, რომელიც სოფელ გიორგიწმინდის შესახებ უნიკალურ მასალებს მოიცავს.

მაისში, “გარეჯობის” სახალხო ზეიმზე მას საგარეჯოს საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს - დაკრძალვის წინა დღეს.

მას დეკემბერში 90 წელი შეუსრულდებოდა.

უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი.

გაზეთ “გარეჯის მაცნეს”
რედაქცია

ზაზა მჭედლიშვილი

ჩემო ძვირფასო ზაზა, შენნაირი ლამაზი სულის ადამიანები ალბათ იშვიათად იბადებიან. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემხვედრია. შენ ხომ სიკეთის განსახიერება იყავი. ყველას კარგი გიხაროდა.

მე შენ ლამაზი გარეგნობის და სულის ბიჭი მაშინ გაგიცანი, როცა ჭკუას აბნევდნენ ყველანი. შენ მაშინ სამხედრო სამსახურში პროკურორის მძღოლი იყავი. რამდენჯერ მოსულხარ სახლში შენი მანქანით და დილამდე, სანამ უკან დაბრუნდებოდი, ვისხედით და ვსაუბრობდით შენ, დედა, მამა, თამაზი და მე. რა ბედნიერები ვიყავით მაშინ ყველანი.

შენი მშობლები ზურაბ მჭედლიშვილი და ლიდა ზაკალაშვილი, რაიონში ცნობილი და პატივსაცემი ადამიანები, ყოველთვის ამაყობდნენ თავიანთი შვილებით. საამაყო მართლაც ჰქონდათ. ისეთი შვილები და ძმები იყავით, ბევრს რომ შეშურდებოდა. ჩვენს ოჯახს ჯერ ზურაბი გამოაკლდა და მერე შენ, ასე ნაადრევად, ორმოცდათოთხმეტი წლის სიცოცხლე გიხაროდა. ყველაზე დიდი სიხარული კი შენი სამი ვაჟაცის ყურება და მათი წარმატებით მიღებული სიხარული იყო. ძმისშვილებიც ხომ არანაკლებ გიყვარდა. ისინიც ამ სიყვარულს გრძნობდნენ და უკან გიბრუნებდნენ. შენ მათთვის საამაყო და მისაბაძი ბიძა იყავი ყოველთვის.

შენი დედა თუ ამხელა ტკივილს გაუძლებდა, ვინ იფიქრებდა, მაგრამ ისევ შენი ოჯახისთვის, შენი შვილებისთვის და შენი ძმისთვის იმაგრებს თავს. თამაზის ტკივილს ხომ საზღვარი არა აქვს. მთელი რაიონი „ძმებად“ გიცნობდნენ. ცალკე თამაზი ან ცალკე ზაზა რომ ეთქვათ, ვერ ხვდებოდნენ ვისზე იყო საუბარი. თქვენ ყველასათვის გასაგები: „ზაზა და თამაზი“ იყავით. ტყუპებივით გაზრდილები ბოლომდე ერთად იყავით, ერთი საქმე გქონდათ: ქართული, ძირძველი. მამის დაწყებული საფერავის გაშენება თქვენ დირსეულად გააგრძელეთ, გააფართოვეთ და ყოველდღიურ საზრუნავად აქციეთ. ახლა თამაზი მარტოა. ძალიან უჭირს უშენობა, მაგრამ გვერდით შენი შვილები ჰყავს და ერთად აგრძელებენ საქმეს.

გემშვიდობები, ზაზა. შენ ჩემი მაზლი კი არა, მესამე ძმა იყავი ყოველთვის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

ქეთინო ბაცანაძე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მწუხარებას გამოთქვამს საგარეჯოს კოლორიტის, ისტორიკოსისა და ბიბლიოგრაფის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრის, საგარეჯოს მემატიანის

ალექსანდრე ელერდაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru